JEL Classification: A11, A19, E60, O20, P21, P30 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება)

ვლადიმერ პაპავა
აკადემიკოსი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველო
vladimer.papava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური მეცნიერება, ეკონომიკის პოლიტიზაცია, ეკონომიკური რეფორმები, მაღალპროფესიონალი ეკონომისტები, საერთაშორისო საფინასო ინსტიტუტები.

ციტირებისთვის: პაპავა, ვ. (2019). ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება), *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8*, გვ. 13-21. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

შესავალი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პერიოდულად ისმის განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორი მისი ზედმეტი პოლიტიზაციაა.

თუ კი გავიხსენებთ იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, მაშინ სულაც არ არის გასაკვირი ეკონომიკის, როგორც ასეთის, პოლიტიზაცია.

პრობლემა არა იმდენად ეკონომიკის პოლიტიზაციაში, რამდენადაც იმაში მდგომარეობს, თუ რა მიმართებაშია ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური მეცნიერების არა მარტო უახლეს მიღწევებთან, არამედ, სულ ცოტა, თუნდაც მის მიერ კარგა ხნის წინ დადგენილ და პრაქტიკაში აპრობირებულ „ანბანურ ჭეშმარიტებებთან“.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას უკვე ტრადიციად დამკვიდრებული შეცდომების ბუნება და გაანალიზებულ იქნეს პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში (Papava, 2012), რათა გამოიკვეთოს ის უმთავრესი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარებისთვის პრიორიტეტული ხასიათის მატარებელია.

არაეკონომიკური ეკონომიკური პოლიტიკა და მისი ტიპები

ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც სასწავლო–სამეცნიერო დისციპლინა, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ–ერთი გამორჩეული სფეროა (მაგალითად, Bénassy-Quéré, Coeuré, and etc., 2016).

როგორც ცნობილია, ტერმინი „ეკონომიკური პოლიტიკა“ ქვეყნის ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ქცევას ნიშნავს (Pearce, ed., 1997, c. 145). მისგან განსხვავებით, ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში (მაგალითად, Brown, 1995) ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკული ასპექტებისა და წმინდა ეკონომიკური თეორიის ურთიერთკავშირი (Pearce, ed., 1997, c. 388).

საყურადღებოა, რომ ტერმინი „პლიტიკური ეკონომია“ თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოიყენება, როგორც სახელმწიფო მოწყობის ეკონომიური საფუძვლების შემსწავლელი მეცნიერება და, ამდენად, შედის არა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მეცნიერებათა შემსწავლელ დისციპლინათა ჯგუფში.

საუკეთესო შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს. სინამდვილეში ასეთი რამ საკმაოდ იშვიათია. როგორც

წესი, სამწუხაროდ, უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ეკონომიკური პოლიტიკა აშკარად დაშორებულია ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს. სხვა სიტყვებით, ეკონომიკური პოლიტიკის უკან ეკონომიკური მეცნიერება, როგორც ასეთი, ყოველთვის როდის დგას.

ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ამგვარ ქცევას ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ასეთი, ვერ დაერქმევა, რამეთუ იგი არა მარტო ეკონომიკურ თეორიასთან, არამედ უბრალოდ ჯანსაღ აზრთანაც კი წინააღმდეგობაში მოდის; მას უფრო კორექტული იქნება თუ **„არაეკონომიკურ ეკონომიკურ პოლიტიკას“**, ანუ შემოკლებით **„არაეკონომიკურ პოლიტიკას“** ვუწოდებთ (Papava, 2002, გვ. 451-459).

ჩემი აზრით, არსებობს სამი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა. კერძოდ, ***პირველი ტიპის*** არაეკონომიკურ პოლიტიკას მაშინ აქვს ადგილი, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები არ ითვალისწინებენ ეკონომიკური მეცნიერების მიერ შექმნილ ცოდნას.

მეორე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ის შემთხვევა, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები კი ითვალისწინებენ ეკონომიკური მეცნიერების მიერ შექმნილ ცოდნას, მაგრამ თავად ეს ცოდნა არის მცდარი.

მესამე ტიპის არაეკონომიკურ პოლიტიკას კი მივაკუთნებთ იმ შემთხვევას, როცა რომელიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ აქვს ეკონომიკურ მეცნიერებას, ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს ძალიანაც რომ უნდოდეთ მაინც ვერ გამოიყენებენ ჯერ არ არსებულ ცოდნას.

პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა შესაძლოა გამოწვეულ იყოს შემდეგი მიზეზებით:

1. ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელები არ არიან პროფესიონალი ეკონომისტები, ან არიან ძალზედ დაბალკვალიფიციური ეკონომისტები და, შესაბამისად, ჯეროვნად არ იცნობენ ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლებს, რომ არაფერი ვთქვათ მის მიღწევებზე;

2. ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელები შეიძლება იყვნენ საკმაოდ კვალიფიციური ეკონომისტები, მაგრამ არანაირად არ აწყობდეთ ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების ასახვა.

საყურადღებოა, რომ არც თუ იშვიათად, პოლიტიკოსები ქვეყნას როგორც კომპანიას უყურებენ, რის გამოც ითვლება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ თანამდებობებზე უნდა დაინიშნონ მენეჯერები და არა პროფესიონალი ეკონომისტები (Papava, 2018b). ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქვეყანასა და კომპანიას შორის პრინციპული ხასიათის განსხვავებაა (Krugman, 1996), სამწუხაროდ, პოლიტიკოსების დიდ ნაწილს გაცნობიერებული არ აქვს. სინამდვილეში მენეჯერების ადგილი არა პოლიტიკაში, არამედ ბიზნესშია.

როცა ეკონომიკაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მმართველ პირებს არ აქვთ სპეციალური ეკონომიკური განათლება, მათი ეს მდგომარეობა, როგორც წესი, კომპენსირდება იმ პირების პროფესიონალიზმით, რომლებიც ამ მმართველი პირებისათვის ამზადებენ გადაწყვეტილებების პროექტებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც სავსებით შესაძლებელია ისეთი სიტუაცია შეიქმნას, როცა მმართველი პირები მათთვის მომზადებული ხსენებული პროექტების მიუხედავად გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებენ მისი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

მაშინაც კი, როცა ეკონომიკაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მმართველ პირებს აქვთ სპეციალური ეკონომიკური განათლება, ხშირია შემთხვევები, როცა ისინიც გადაწყვეტილების მიიღებისას ხელმძღვანელობენ არა იმდენად ეკონომიკური მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

ეს ფენომენი, როცა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ეკონომიკურ მეცნიერებასთან შედარებით პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ენიჭება უპირატესობა ახსნილია საყოველთაოდ ცნობილი „საზოგადოებრივი არჩევანის“ თეორიის მიერ (Buchanan, Tullock, 1962).

მეორე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკის გამომწვევი მიზეზი თავად ეკონომიკური მეცნიერების მიერ დაშვებული შეცდომებია. ამის კლასიკური მაგალითია, 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი, რადგანაც ეკონომიკური მეცნიერების მიერ ეკონომიკის რეგულირებისადმი შემუშავებული მიდგომები, სამწუხაროდ, მცდარი აღმოჩნდა (Cliffe, 2019; Stiglitz, 2010b; Stiglitz, 2010a).

ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკური პოლიტიკას (უფრო ზუსტად კი საჯარო პოლიტიკას) შორის მიმართება შეიძლება შევადაროთ ბიოლოგიასა და მედიცინას, ან ფიზიკასა და ინჟინერიას შორის არსებულ კავშირს, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა, რომ, თუ რაიმე შეცდომა იქნა დაშვებული მედიცინაში ეს ბიოლოგიის ბრალი არ არის, ისევე როგორც ინჟინერიაში დაშვებული შეცდომის გამო ფიზიკის დადანაშაულება გაუმართლებელია (Hausmann, 2019). ამგვარი ინტერპრეტაცია აშკარად არ არის მართლებული, რადგანაც თუ შეცდომის სათავე, მაგალითად, ბიოლოგიაში აღმოჩნდა, ის შესაბამისად აისახება მედიცინაშიც.

მსგავსი შემთხვევები კი ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის, სამწუხაროდ, სულაც არ არის იშვიათი. ასე მაგალითად, სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს ე.წ. „ფულის თანამედროვე თეორია“ (“Modern Monetary Theory”), რომლის საფუძველზე უკვე სახელმძღვანელოც კი არის გამოცემული (Mitchell, Wray, Watts, 2019). ეს ე.წ. რევოლუციური თეორია თვლის,

რომ საბიუჯეტო დეფიციტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ფულის ემისიით შეიძლება ისე დაიფაროს გარღვევა სახელმწიფო ხარჯებსა და სგადასახადო შემოსავლებს შორის, რომ ამან არ გამოიწვიოს ინფლაცია. ამ თეორიის აშკარად გამოკვეთილი სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოცემული თეორიული კონსტრუქცია ემყარება დახურულ ეკონომიკას, რომელშიც საგარეო ვაჭრობას ადგილი არ აქვს, რომ გამორიცხულია კაპიტალის ქვეყნიდან გადინება და ქვეყანაში შემოდინება, და არ არსებობს გაცვლითი კურსის მერყეობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები ღიად აკრიტიკებენ ხსენებულ „ფულის თანამედროვე თეორიის“ აშკარად მცდარ კონსტრუქციას (Krugman, 2019a, 2019b; Rogoff, 2019), სულ უფრო იზრდება იმის მოლოდინი, რომ არც თუ შორეულ მომავალში აშშ–ში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ევრაკოვშირის ზოგიერთ ქვეყანასა და იაპონიაშიც კი მემარცხენე პოლიტიკოსების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას სწორედ ამ თეორიით იხელმძღვანელებენ (Moiseev, 2019).

მესამე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა შესაბამისი ეკონომიკური თეორიის არ არსებობის პირობებში (მაგალითად, Papava, 2005).

არანაკლებ საყურადღებოა, კრიპტოვალუტის მსოფლიოში გავრცელების ფენომენი, ისე, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას მის შესახებ მეტ–ნაკლებად დასაბუთებული თეორია ჯერ–ჯერობით არ შეუქმნია (Papava, 2018a, pp. 95-97). მიუხედავად იმისა, კრიპტოვალუტა, კერძოდ, ბიტკოინი, უკვე ათი წლისაა, და მოცემულ თემაზე დიდი რაოდენობის პუბლიკაციები დაგროვდა (მაგალითად, Столбов, 2019), ჯერ–ჯერობით კრიპტოვალუტის ეკონომიკური შინაარსი დღემდე ბოლომდე არ არის გარკვეული (Simanovskiy, 2018).

საყურადღებოა, რომ ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მესამე ტიპის არაეკონომიკურ პოლიტიკას, ხოლო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, წინა პლანზე გამოდის პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი იცვლება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში აბსოლუტური ჩაურევლობიდან (Laissez-Faire), ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ მართვის მრძანებლურ ფორმებამდე, რომელიც დამახასიათებელია კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკისათვის. საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის პროცესის არსი სწორედ მეორე უკიდურესი მდგომარეობიდან პირველისაკენ მოძრაობაში გამოიხატება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ისეთ ქცევას გულისხმობს, როცა მისი ეკონომიკის მართვაში ჩარევის მასშტაბები არა მარტო თანდათან მცირდება, არამედ შინაარსობრივადაც იცვლება, როცა სახელმწიფო ცდილობს ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნას, როცა შესაბამისი მარეგულირებლები ფირმებს აძლევს მოქმედების შესაბამის მეტ–ნაკლებად ფორმალიზებულ ჩარჩოს.

პოსტკომუნისტური საქართველოს საწყისი პერიოდის არაეკონომიკური პოლიტიკა

1990-91 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის მართვის კომუნისტური ფორმების ლიბერალიზაციის მოკრძალებული მცდელობით გამოირჩეოდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ იმდროინდელი მთავრობის განცხადებით საქართველოში სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელი უნდა დამკვიდრებულიყო. საყურადღებოა, რომ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელის საფუძველზე პრაქტიკულად ნიშნავდა ეკონომიკის არასაბაზრო მოწყობის საფუძვლების შენარჩუნებას, ანუ საბაზრო ეკონომიკაზე ე.წ. „ფასადურ“ გადასვლას.

ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევის პრაქტიკაში რევოლუციური ხასიათის გარდატეხა 1992 წელს იწყება, რაც უმთავრესად ფასების თითქმის საყოველთაო ლიბერალიზაციასა და სასოფლო–სამეურნეო მიწების უსასყიდლო დარიგებაში გამოიხატა (Papava, Beridze, 1998). ამავე ეტაპზე პრაქტიკულად სრულ ლიბერალიზაციას დაექვემდებარა ფულად–საკრედიტო სექტორი, რითაც საკრედიტო ემისიამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, კომერციული ბანკების შექმნა მაქსიმალურად გაადვილებული იყო, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მათ შემდგომ საქმიანობაზე ზედამხედველობა, როგორც წესი, არ არსებობდა. არანაკლებ „შთამბეჭდავი“ იყო ბარტერით თურქმენეთიდან გაზის შეძენის საკლირინგო მექანიზმის შემოღება, რამაც კორუმპირებულ მოხელეთა გამდიდრების ხარჯზე საქართველოს თურქმენეთის მიმართ 400 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ვალი შეუქმნა. საყურადღებოა, რომ 2001 წლიდან თურქმენეთის ვალის გასტუმრების მიზნით საკლირინგო მექანიზმი კვლავ იქნა ამოქმედებული.

ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ამგვარ ქცევას ეკონომიკური პოლიტიკა ვერანაირად ვერ დაერქმევა, რამეთუ იგი არა მარტო ეკონომიკურ მეცნიერებასთან, არამედ უბრალოდ ჯანსაღ აზრთანაც კი წინააღმდეგობაში მოდის.

საქართველოში 1992-93 წლებში გატარებული არაეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ჰიპერინფლაციას ნოყიერი ნიადაგი შეექმნა, რაც სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა (Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994).

საყურადღებოა, რომ მმართველობის კომუნისტური რეჟიმის რღვევის და საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის თეორია, როგორც, ზემოთ ითქვა, არ არსებობდა (Papava, 2005). მართალია, დღეისათვის დაგროვდა მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება, მოხდა ამ გამოცდილების განზოგადებაც კი, თუმცა, სამწუხაროდ, მეტ-ნაკლებად მწყობრი შესაბამისი ეკონომიკური თეორია ჯერაც არ შექმნილა. ამ ვითარების გათვალისწინებით შეუძლებელია იმდროინდელი ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელთა დადანაშაულება იმაში, თუ რატომ არ გამოიყენეს ეკონომიკური თეორია, რომლის ჩანასახოვანი კონტურებიც კი იმ დროისათვის უბრალოდ არ არსებობდა. ამიტომ, აშკარაა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდია საწყის ეტაპზე არაეკონომიკური პოლიტიკის მესამე ტიპს ჰქონდა ადგილი.

საქართველოში 1992 წლის დასაწყისში დაიწყო რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარება „შოკური თერაპიის" ცნობილი მეთოდის პოლონური ვერსიით. კერძოდ, გამოყენებულ იქნა ე.წ. „ბალცეროვიჩის გეგმა" (Aleksashenko, 1990, c. 21), რომელიც ატარებს მისი შემმუშავებლის, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში პოლონეთის ვიცე-პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის ლეშეკ ბალცეროვიჩის სახელს.

იმ პერიოდის საქართველოში ინგლისური, თუ სხვა რომელიმე დასავლეთევროპული ენა საზოგადოების ძალზედ შეზღუდულმა ნაწილმა იცოდა, და, პრაქტიკულად, ერთადერთი უცხო ენა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო უმრავლესობისთვის იყო რუსული ენა, რომელსაც არც თუ დიდი ხნის წინ, საბჭოთა კავშირის პირობებში სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. ხსენებული „ბალცეროვიჩის გეგმა" რუსეთის მთავრობამ ჯერ გადაარუსულა რუსეთში 1992 წლის იანვრიდან გასატარებელი რეფორმებისათვის, ხოლო ერთი თვის დაგვიანებით ამ გეგმის რუსული ვერსია საქართველოს მთავრობამ გადმოაქართულა საქართველოში გასატარებელი ეკონომიკური რეფორმებისათვის.

საქართველოსთვის „ბალცეროვიჩის გეგმა", სამწუხაროდ, თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისთვის, რადგანაც იმ დროისათვის საქართველოს პოლონეთისა და რუსეთისგან განსხვავებით „შოკური თერაპიის" ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი – საკუთარი ვალუტა, არ გააჩნდა. ამას დაემატა მთავრობის მიერ დაშვებული სხვა არაერთი შეცდომაც (Khaduri, 2005; Papava, 1996), რამაც „შოკურ თერაპიას", როგორც ასეთს, საქართველოში სახელი გაუტეხა.

1994-1995 წლებში გატარებული ეკონომიკური რეფორმების მიზანი ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარება იყო, რაც არა მარტო მიღწეულ იქნა (Papava, 2011), არამედ სწორედ ამან შესაძლებელი გახადა ეროვნული ვალუტის – ლარის წარმატებით შემოღება (Kakulia, 2008).

ქართული ლიბერტარიანიზმის არაეკონომიკური პოლიტიკა

2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციიდან" რამდენიმე თვეში საქართველოში მთავრობის მოწვევით მოსკოვიდან ჩამოვიდა ეთნიკურად ქართველი ბიზნესმენი, რუსი ოლიგარქი კახა ბენდუქიძე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ლიბერტარიანიზმის ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ის, როგორც სამრეწველო ჰოლდინგის „გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების" («Объединенные машиностроительные заводы») გენერალური დირექტორი, საკმაოდ დაახლოებული იყო პუტინის რეჟიმთან, რაც ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰოლდინგში შემავალი ქარხნები აწარმოებენ საკმაოდ რთულ მანქანა-დანადგარებს, მათ შორის, დანადგარებს ატომური ენერგეტიკისათვის.

მთავრობის მიერ ლიბერტარიანიზმის შესახებ საჯაროდ გაკეთებულმა ოფიციალურმა განცხადებებმა და მათმა საზღვარგარეთ რეკლამირებამ შექმნა იმის განწყობა, რომ რევოლუციის შემდგომი რეფორმები საერთაშორისო დონეზეც შეფასებულიყო როგორც ლიბერტარიანული (მაგალითად, ESI, 2010; Gilauri, 2017; Udensiva-Brenner, 2010; Burakova, 2011).

ამ მოსაზრებას აძლიერებდა ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების დიდი რაოდენობის გაუქმება, ხოლო დარჩენილების აღების წესის გამარტივება, მთავრობისაგან სხვადასხვა სახეობის დოკუმენტების გაცემის სისტემის არსებითი გამარტივება, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, გადასახადების გადახდის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, და სხვ. სწორედ ამ ტიპის რეფორმებმა საქართველო მსოფლიო ბანკის ცნობილ რეიტინგის მიხედვით „Doing Business" რეფორმების ერთ-ერთ ლიდერად აქცია.

ის, რომ ამ ტიპის ეკონომიკური რეფორმები წარმატებულად არ უნდა ჩაითვალოს, ყველაზე კარგად ჩანს განზოგადოებული მაჩვენებლის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის (Papava, Silagadze, 2019) დინამიკით. კერძოდ, ეკონომიკური განვითარების ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩა მის უშუალო მეზობელ „არალიბერტარიანული" მთავრობის მქონე პოსტსაბჭოთა სომხეთს (მეორე მეზობლის, ასევე პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა ამ პერიოდში გამოწვეული იყო ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და მათი ექსპორტის ზრდით, და ამადენად, არ გამოდგება შედარებისათვის). კერძოდ, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, თუ 2003 წელს საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აღმატებოდა სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს, 2010 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოში სომხეთის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 95,5%-ს შეადგენდა (WB, 2019).

ლიბერტარიანიზმად შერაცხულ რეფორმების პარალელურად „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა სისტემატურად არღვევდა საკუთრების უფლებას და არც იმას ერიდებოდა, რომ მეწარმეებს იძულების წესით გადაერიცხათ თავისი მოგების ნაწილი არასაბიუჯეტო ფონდებში (რა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდებოდა მთავრობის წევრებთან დაახლოებული პირების ბიზნესზე), ხოლო სასამართლო სისტემა უშუალოდ იყო პროკურატურის კონტროლ ქვეშ (Papava, 2013). სამწუხაროა, მაგრამ ამ ანტილიბერტარიანულ (სინამდვილეში, ნეობოლშევიკურ) ფაქტებზე მთავრობაში მყოფ ე.წ. „ლიბერტარიანელებს“ რაიმე კომენტარიც კი არ გაუკეთებიათ. სწოლ ამიტომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გატარებული რეფორმების ფასადი ლიბერტარიანულ ხასიათს ატარებდა, თუმცა შინაარსით ისინი ნეობოლშევიკური იყო (De Waal, 2011, გვ. 13).

ცნობილია, რომ ნებისმიერი ადამიანი თავისთვის, როგორც წესი, ლიბერტარიანელია, რადგანაც არავის უნდა, რომ მის საქმეში სხვა ჩაერიოს, ან მისი უფლებები რაიმეთი შეიზღუდოს. ნამდვილი ლიბერტარიანელი კი ისაა, ვინც, უწინარეს ყოვლისა, ლიბერტარიანელია სხვისთვის და ამდენად ის ზოგადადაც ლიბერტარიანელია.

იმ სამთავრობო გუნდისათვის, რომელიც „ლიბერტარიანიზმის დროშის“ ქვეშ შეიკრიბა დამახასიათებელი იყო ის, რომ მათ უმრავლესობას, ისევე როგორც ამ გუნდის ლიდერს, კახა ბენდუქიძეს, არ გააჩნდა საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლება. ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლების არცოდნის პირობებში კი მათთვის ყველაზე ადვილი იყო ლიბერტარიანული შეხედულებების გაზიარება: როცა არ იცი ბაზრის ჩავარდნების და მათი დაძლევის სირთულეების შესახებ, ძალზედ ადვილია ერთადერთ გამამართლებელ პრინციპად აღიარო სახელმწიფოს მაქსიმალური არ ჩარევა ეკონომიკაში.

მაშასადამე, ქართველ ე.წ. „ლიბერტარიანელებსა“ ნამდვილ ლიბერტარიანელებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერტარიანიზმი ქართველებისათვის არ ყოფილა ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძნებული შეგნებული არჩევანი. სინამდვილეში ლიბერტარიანიზმი მათთვის ეკონომიკის არცოდნის შენიღბვისთვის იყო გამოყენებული (Papava, Taphladze, 2015).

ყოველივე ეს გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ქართული ლიბერტარიანიზმი თავისი არსით არის პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

პრიმიტივიზმის არაეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკური პრიმიტივიზმის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ ინიცირებული „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“, რომლის პუნქტებია: 1. ეკონომიკური რეფორმა; 2. განათლების რეფორმა; 3. სივრცითი მოწყობა; 4. მმართველობის რეფორმა.

პუნქტი 1 მისი ზოგადი დასახელების მიუხედავად დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესის გათავისუფლებაზე მოგების გადასახადისაგან, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში. პუნქტი 2-ს მიხედვით, პროფესიული განათლების სისტემამ ორიენტაცია უნდა აიღოს სწავლების დუალურ, ანუ სამუშაოზე დაფუძნებულ მიდგომაზე, რომლის თანახმადაც, სასწავლებელი და პოტენციური დამსაქმებელი ერთობლივად განახორციელებენ სასწავლო პროგრამებს; საუნივერსიტეტო განათლება კი ორიენტირებული იქნება ეკონომიკის ფაქტობრივ საჭიროებებზე, რაც უნდა გამოვლინდეს შრომის ბაზრის ანალიზის გზით. პუნქტი 3-ს თანახმად, ქვეყნის სივრცითმა მოწყობამ ხელი უნდა შეუწყოს ქალაქებისა და სოფლების გააზრებულ განაშენიანებას, რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელის განვითარებას, რომლის საბოლოო მიზანია საქართველო გახდეს ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა. პუნქტი 4 კი გულისხმობს მმართველობის ეფექტიანობის გაზრდას.

სამწუხაროდ, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებლობის გამო ქვეყანა უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე თავად აწარმოებს, რის შედეგადაც წლების განმავლობაში იმპორტი ექსპორტს საშუალოდ 3-ჯერ აღემატება, ხოლო სამომხმარებლო კალათაში (ისევე, როგორც სასურსათო კალათაში) იმპორტული პროდუქცია საშუალოდ 80%-ის დონეზეა. შედეგად საქართველოში არამწარმოებლური და იმავდროულად მომხმარებლური ეკონომიკის მოდელი ჩამოყალიბდა (Papava, 2015).

ამ ვითარებაში მოცემული გეგმის პირველი სამი პუნქტი უმთავრესად ხელს უწყობს არსებული ბიზნესის განვითარებას, სხვა სიტყვებით, სასტუმროების, რესტორნების და საკრედიტო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას. სამწუხაროდ, ეს პუნქტები არ არის ორიენტიტებული მომავლის ეკონომიკის, კერძოდ, ცოდნაზე დაფუძვნებული ეკონომიკის რეალური სექტორის შექმნასა და განვითარებაზე. მაშასადამე, „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“ ხელს შეუწყობს საქართველოში ხსენებული არამწარმოებლური და იმავდროულად მომხმარებლური ეკონომიკის მოდელის შენარჩუნება-განმტკიცებას.

ამ გეგმის მეოთხე პუნქტის თანხმად, კი გარემოს დაცვის სამინისტრო შეუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაც აშკარად გამოხატულ ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს. მოგვიანებით კი განათლების და მაცნიერების სამინისტროს შეუერთდა კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რამაც ახლადშექმნილი სამინისტრო რთული სამართავი გახადა. შედეგად, მიზანი „მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა“ პრაქტიკულად განუხორციელებელი დარჩა.

„მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“ არის ეკონომიკაში პრიმიტივისტული მიდგომის თვალსაჩინო ნიმუში (Papava, 2017b) და ის ეკონომიკური მეცნიერების ელემენტარულ საფუძვლებსაც კი უგულებელყოფს. მაშასადამე, სახეზეა პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური პრიმიტივიზმის კიდევ უფრო მკაფიო გა-

მოხატულებაა 2015 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობის პრივატიზაცია. ამ სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული საკუთარი შენობის პრივატიზაციით მთავრობამ მიიღო 9,45 მილიონ აშშ დოლარი. შენობის ახალმა მესაკუთრემ, ჩინურმა კოპანიამ „ჰუალინგმა“ გადაწყვიტა ამ შენობაში სასტუმროს გახსნა.

თავად სამინისტრო პრივატიზაციის შემდეგაც იმავე შენობაში დარჩა (მესაკუთრეს ამისათვის შესაბამის ქირას უხდიდა), სანამ შენობაში ხანძარი არ გაჩნდა. ხანძრის გამო შენობის გამქირავებელი ჩინური კომპანიისათვის ეკონომიკის სამინისტროს მოუწია ჯარიმის გადახდა, შენობის დაცლა და ახალი შენობის დაქირავება.

სამინისტროების შენობების გაყიდვა იმ მიზნით, რომ ამ შენობებში სასტუმროები გახსნილიყო, ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ წამოიწყო, თუმცა მაშინ ჯერ წყდებოდა თუ სად უნდა განთავსებულიყო სამინისტრო, და შემდეგ ხდებოდა შენობის დაცლა მისი პრივატიზაციის მიზნით. კერძოდ, 2007 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადაიყვანეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სხვა შენობაში, ხოლო იუსტიციის სამინისტროსათვის ჯერ აშენდა ახალი შენობა და შემდეგ დაცალეს ძველი.

2015 წლიდან მოყოლებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთარი შენობა არ გააჩნია და მას უხდება სხვადასხვა შენობების დაქირავება სამინისტროს აპარატის განსათავსებლად.

მთავრობის ამგვარი ქმედება ყოვლად უაზროა და „უკეთეს“ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, როგორც სამთავრობო ფსევდო-ბიზნესი (Papava, 2017a).

დასკვნა და რეკომენდაციები

არაეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი საფუძველი არის ეკონომიკური პოლიტიკის ეკონომიკური მეცნიერებიდან დაცილება. თუმცა, არც ის შემთხვევაა გამორიცხული, როცა ან ეკონომიკური მეცნიერების მიერ გაცემული რეკომენდაციებია მცდარი, ან მას ჯერ კიდევ არ აქვს შესწავლილი ესა თუ ის ეკონომიკური მოვლენა, ან პროცესი. შესაბამისად, ყალიბდება არაეკონომიკური პოლიტიკის სამი ტიპი.

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური რეფორმირების საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა მესამე ტიპის არაეკონომიკურ პოლიტიკას, რადგანაც მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის ეკონომიკური თეორია, როგორც ასეთი, არ არსებობდა.

ეკონომიკური განვითარების შემდგომ ეტაპებზე კი საქართველოში გატარებული არაეკონომიკური პოლიტიკა იყო პირველი ტიპის, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები უგულველყოფდნენ ეკონომიკური მეცნიერების ბაზურ დებულებებსაც კი. ამის მიზეზი არც თუ იშვიათად ამ პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების არაპროფესიონალიზმი იყო.

ლოგიკურად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ მომავალში რამდენად ვართ დაცულნი არაეკონომიკური პოლიტიკის ახალი რეციდივებისგან.

არაეკონომიკური პოლიტიკისაგან დაცვის გარანტია პირობითად ორ ნაწილად იყოფა, საიდანაც, პირველი სამთავრობო ეკონომიკური გუნდის პროფესიონალიზმია, ხოლო მეორე კი – ამ გუნდის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობაა. რა თქმა უნდა, სამთავრობო გუნდის პროფესიონალიზმთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმიც, რომელიც ასევე უნდა იყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით გამაგრებული.

აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების გარდა აუცილებლად გასათვალისწინებელია კულტურის ფაქტორი (Bedianashvili, 2018a, 2018b; Tambovtsev, 2015, 2018), რაც კვლევის ცალკე საგანს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aleksashenko C. (1990). Economic Reform: Polish Way [Ekonomicheskaja reforma: polskii put] ” Mirovaja ekonomika i mezhdunarodnye otnoshenija [World Economy and International Relations] № 7, pp. 19-28. (In Russian).
2. Bedianashvili G. (2018a). “Knowledge Economy, Innovative Entrepreneurial Policy and Culture: Systemic View.” In: Materials of the International Scientific-Practical Conference: “Modern tendencies of development of economy and economic science.” Tbilisi: Paata Gugushvili Institute of Economics Publishing House, pp. 28-32.
3. Bedianashvili G. (2018b). Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context [kultura rogorts tsodnis ekonomikis phormirebis phaqtori paradigmuli tsvlilebebis sistemur-institutsiuri konteqstit] globalizatsia da biznesi [Globalization and Business] № 6, pp. 58-66. (In Georgian).
4. Bénassy-Quéré A., Coeuré B., Jacquet P., Pisani-Ferry J. (2016). Economic Policy: Theory and Practice [ekonomikuri politika: teoria da praqtika] Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House. (In Georgian).
5. Brown M. B. (1995). Models in Political Economy. A Guide to the Arguments. London: Penguin Books.

6. Buchanan J. M., Tullock G. (1962). The Calculus of Consent: Logical Foundations of Constitutional Democracy. Ann Arbor: University of Michigan Press, http://www.econlib.org/library/Buchanan/buchCv3.html.
7. Burakova L. (2011). Why at Georgia it Turned Out [Pochemu u Gruzii poluchilos]. Moscow: United Press. (In Russian).
8. Cliffe M. (2019). What Economists Still Need to Learn. Project Syndicate, September 9, https://www.project-syndicate.org/commentary/macroeconomic-models-three-lessons-2008-crisis-by-mark-cliffe-2019-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=aabf9c90ac-sunday_newsletter_15_9_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-aabf9c90ac-93567601&mc_cid=aabf9c90ac&mc_eid=e9fb6cbcc0.
9. De Waal T. (2011). Georgia's Choices: Charting a Future in Uncertain Times [sakartvelos archevani: momavlis dagegmva gaurkvevlobis periodshi]. Washington, D.C.: Carnegie Endowment, (In Georgian).
10. https://carnegieendowment.org/files/georgias_choices__georgian.pdf. ESI (2010). Reinventing Georgia: The Story of a Libertarian Revolution. Berlin–Brussels–Istanbul: European Stability Initiative, https://www.esiweb.org/index.php?lang=en&id=322&debate_ID=3.
11. Gilauri N. (2017). Practical Economics: Economic Transformation and Government Reform in Georgia 2004-2012. Cham: Palgrave Macmillan.
12. Gurgenidze L., Lobzhanidze M., Onoprishvili D. (1994). "Georgia: From Planning to Hyperinflation." Communist Economies & Economic Transformation, Vol. 6, No. 2, pp. 259–289.
13. Hausmann R. (2019). "Don't Blame Economics, Blame Public Policy." Project Syndicate, September 1, https://www.project-syndicate.org/commentary/blame-public-policy-not-economics-by-ricardo-hausmann-2019-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=d58b1700af-sunday_newsletter_8_9_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-d58b1700af-93567601&mc_cid=d58b1700af&mc_eid=e9fb6cbcc0.
14. Kakulia M. (2008). "Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect." In: Ismailov E. M., ed. Central Eurasia: National Currencies. Stockholm: CA&CC Press, pp. 188-200.
15. Khaduri N. (2005). "Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia." Problems of Economic Transition, Vol. 48, No. 4, pp. 18-29.
16. Krugman P. (1996). "A Country Is Not a Company." Harvard Business Review, January–February, https://hbr.org/1996/01/a-country-is-not-a-company.
17. Krugman P. (2019a). "Running on MMT (Wonkish)." The New York Times, 25 February, https://www.nytimes.com/2019/02/25/opinion/running-on-mmt-wonkish.html.
18. Krugman P. (2019b). "What's wrong with functional finance? (Wonkish)." The New York Times, 12 February, https://www.nytimes.com/2019/02/12/opinion/whats-wrong-with-functional-finance-wonkish.html.
19. Mitchell W., Wray R., Watts M. (2019). Macroeconomics. London: Macmillan Education.
20. Moiseev R. (2019). Hype Around (Non)Monetary (Non)Theory [Khaip vokrug (ne)denezhnoi (ne)teorii]. Voprosy ekonomiki [Economic Issues], No. 9, pp. 112-122. (In Russian)
21. Papava V. (1996). "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'." Communist Economies & Economic Transformation, Vol. 8, No. 2, pp. 251-267.
22. Papava V. (2002). Political Economy of the Post-Communist Capitalism and its Application for Georgian Economy [poskomunisturi kapitalizmis politikuri ekonomia da sakartvelos ekonomika]. Tbilisi: "PDP." (In Georgian).
23. Papava V. (2005). "On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market." International Journal of Social Economics, Vol. 32, No. 1/2, pp. 77-97.
24. Papava V. (2011). "On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis)." The Caucasus & Globalization, Vol. 5, Issue 3-4, pp. 20-30.
25. Papava V. (2012). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers.
26. Papava V. (2013). "Economic Achievements of Postrevolutionary Georgia: Myths and Reality." Problems of Economic Transition, Vol. 56, No. 2, pp. 51-65.
27. Papava V. (2015). "Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia." Journal of Business and Economics, Vol. 6, No. 5, pp. 978-979, www.academicstar.us/UploadFile/Picture/2015-7/20157313847837.pdf.
28. Papava V. (2017a). "Features of Governmental 'Business' in Post-Soviet Georgia." Eurasia Review. Journal of Analysis and News, June 27, https://www.eurasiareview.com/27062017-features-of-governmental-business-in-post-soviet-georgia-oped/.
29. Papava V. (2017b). "Primitivism as a Trait of Georgia's Modern Economic Policy." The Central Asia-Caucasus Analyst, May 4,http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13444-primitivism-as-a-trait-of-georgia%E2%80%99s-modern-economic-policy.html.
30. Papava V. (2018a). "The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science." Transformations, No. 3-4 (98-99), pp. 90-108, http://www.e-transformacje.com/archiwum/transformacje_3-4_2018.pdf#page=96.
31. Papava V. (2018b). "Why Georgia Needs Economists." Rondeli Blog, October 12, https://www.gfsis.org/blog/view/871.
32. Papava V., Beridze T. (1998). Economic Reforms in Georgia [Ekonomicheskie reformy v Gruzii] Rossiiskii ekonomicheskii zhurnal [Russian Economic Journal,] №1, pp.58–64. (In Russian).

33. Papava V., Silagadze A. (2019). On the Georgian Name of One Key Economic Term "Gross Domestic Product [erti sakvandzo ekonomikuri terminis – "Gross Domestic Product"-is kartuli sakheltsodebis shesaxeb] ekonomika da biznesi [Economics and Business,] No. 1, pp. 180-182. (In Georgian).
34. Papava V., Taphladze T. (2015). "Pseudo-Libertarianism in Post-Revolutionary Georgia." Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 9, No. 2, pp. 150-153.
35. Pearce D. W., ed. (1997). Slovar' sovremennoi ekonomicheskoi teorii Makmillana [Macmillan Dictionary of Modern Economics.] Moscow: INFRA-M. (In Russian).
36. Rogoff K. (2019). "Modern monetary nonsense." Project Syndicate, March 4, https://www.project-syndicate.org/commentary/federal-reserve-modern-monetary-theory-dangers-by-kenneth-rogoff-2019-03?barrier=accesspaylog.
37. Simanovskiy A. Yu. (2018). "K voporosu ob ekonomicheskoi prirode kriptovaljuty [On the Issue of Crypto-Currency Economic Nature.]" Voprosy ekonomiki [Economic Issues,] № 9, pp. 132-142. (In Russian).
38. Stiglitz J. (2010a). "Ekonomisty vinovaty v krizise, no est' shans ispravit' delo [Economists are Guilty in Crisis, but there is a Chance to Correct the Situation.]" Institut problem predprinimatel'stva [Institute of Problems of Entrepreneurship,] October 5, https://www.ippnou.ru/article.php?idarticle=008769. (In Russian).
39. Stiglitz J. (2010b). "Needed: A New Economic Paradigm." Financial Times, August 20, https://www.ft.com/content/d5108f90-abc2-11df-9f02-00144feabdc0.
40. Stolbov M. I. (2019). " K desjatiletiju rynka kriptovaljut: tekushchee sostojanie i perspektivy [The 10th Anniversary of the Cryptocurrency Market: Its Current State and Prospects."] Voprosy ekonomiki [Economic Issues,] № 5, pp. 136-148. (In Russian).
41. Tambovtsev V. (2015). "Mif o "kulturnom kode" v ekonomicheskikh isskedovanijakh [The Myth of the "Culture Code" in Economic Research."] Voprosy ekonomiki [Economic Issues,] No. 12, pp. 85-106. (In Russian).
42. Tambovtsev V. L. (2018). "Innovatsii i kultura: vazhnost' metodologii analiza" ["Innovations and Culture: Importance of the Analysis Methodology."] Voprosy ekonomiki [Economic Issues], No. 9, pp. 70-94. (In Russian).
43. Udensiva-Brenner M. (2010). "Kakha Bendukidze Analyzes Georgia's Economic Strategy: How Georgia Handled Its Economy After the War and the Economic Crisis." Harriman Institute, April 7, https://harriman.columbia.edu/event/kakha-bendukidze-analyzes-georgia%E2%80%99s-economic-strategy-how-georgia-handled-its-economy-after.
44. WB (2019). "GDP per capita (current US$)." The World Bank, https://data.worldbank.org/indicator/ny.gdp.pcap.cd?end=2003&start=1960.

JEL Classification: A11, A19, E60, O20, P21, P30 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

POLITICIZATION OF THE ECONOMY AND NON-ECONOMIC POLICY (EXPERIENCE OF POST-COMMUNIST GEORGIA)

VLADIMER PAPAVA
Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Principal Research Fellow, Paata Gugushvili Institute of Economics, Georgia
vladimer.papava@tsu.ge

KEYWORDS: ECONOMIC POLICY, ECONOMIC SCIENCE, POLITICIZATION OF ECONOMICS, ECONOMIC REFORMS, HIGH-PROFILE ECONOMISTS, INTERNATIONAL FINANCIAL INSTITUTIONS.

For citation: Papava, V. (2019). Politicization of the Economy and Non-Economic Policy (Experience of Post-Communist Georgia), *Globalization And Business, №8*, pp. 13-21. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

SUMMARY

It is not so uncommon when the main deterring factor of economic growth is its politicization. As a matter of fact, economic policy is a part of governmental policy and this means that the "politicization of the economy" is practically unavoidable. The problem is when the conditioning of the "politicization of the economy" is the type of economic policy that is not based on the achievements of economic science. If economic policy is not only distant from economic science but, on some occasions even contradicts it with its elementary provisions, then this type of economic policy held by a government should be called "non-economic policy." Among the causes of "non-economic policy," special attention must be paid to problems in the existing mistakes in economics, in the non-professional economic team of a government and in the wrong recommendations given to a government by international financial institutions. Post-communist Georgia's experience gives us noticeable examples when different governments held 'non-economic policies' which negatively impacted the country's development. As a result of successful economic policies, economic reforms were held which subsequently combatted hyperinflation in the 1990s, achieved macroeconomic stability and established the Georgian lari (GEL) as the national currency following currency reform. Relevant reforms were completely based on economics. The main problem is the rapprochement of economic policy to economic science. Achievement of this is only possible in the case when economic policy is elaborated by highly professional economists.